

დაფინანსებული ორგანიზაციების მიერ პროექტების განხორციელების შესახებ წარმოდგენილი
საბოლოო ანგარიშები
ნაწილი III

II-003

ორგანიზაცია: არასამთავრობო ორგანიზაციათა რესურს-ცენტრი

*პროექტი: სამოქალაქო ჟურნალისტიკა@ Georgian Watchdog სამოქალაქო ჟურნალისტიკა -
სამოქალაქო კონტროლი - სამოქალაქო საზოგადოება*

ტრენინგები და მასტერ-კლასები

სამოქალაქო ჟურნალისტიკა@ Georgian Watchdog

სამოქალაქო ჟურნალისტიკა

სამოქალაქო კონტროლი

სამოქალაქო საზოგადოება ანგარიშები

ქუთაისი, თბილისი, ზუგდიდი

01.06.2013 – 31.12.2013

არასამთავრობო ორგანიზაციათა რესურს ცენტრი

შინაარსი:

- პროექტის გუნდის განსაზღვრა
- საინფორმაციო შეხვედრების ორგანიზება
- ტრენინგის თემატიკის/პროგრამის შედგენა და დაზუსტება
- ტრენინგების შერჩევა

- ტრენერების და ყველა მონაწილეთა ხელშეკრულებების გაფორმება
- ელ-კურსის და საინფორმაციო რესურსის შექმნა
- ტრენინგის ჩატარება ქუთაისში
- ტრენინგის ჩატარება თბილისში
- ტრენინგის ჩატარება ზუგდიდში
- კონკურსის შედეგების შეჯამება და გამარჯვებულთა დაჯილდოება

მიმაგრებული ფაილები:

დანართი 1. აქტივობების გრაფიკი

დანართი 2. ტრენინგის პროგრამა

დანართი 3. კონკურსის გამარჯვებულთა დაჯილდოების პროტოკოლი 1

დანართი 4. კონკურსში გამარჯვებულთა დაჯილდოების პროტოკოლი 2

სამოქალაქო ჟურნალისტიკა@ Georgian Watchdog

ქუთაისი, თბილისი, ზუგდიდი

01.06.2013 – 31.12.2013

სამოქალაქო ჟურნალისტი - სამოქალაქო კონტროლი - სამოქალაქო საზოგადოება

პროექტი "სამოქალაქო ჟურნალისტიკა@ Georgian Watchdog" განახორციელა ორგანიზაციამ "არასამთავრობო ორგანიზაციათა რესურს ცენტრი", ილიას უნივერსიტეტის მხარდაჭერით, პროგრამის "სამოქალაქო საზოგადოებისა და თავისუფალი მედიის მხარდასაჭერად" ფარგლებში.

პროექტის გუნდის განსაზღვრა

პროექტის განხორციელების დაწყებამდე ჩვენს ორგანიზაციაში ჩატარდა შეხვედრა, სადაც იყო განხილული შემდეგი საკითხები: პროექტის გუნდის განსაზღვრა, ტრენერთა/ექსპერტთა ვინაობის დაზუსტება, თემატიკის დაზუსტება და იყო შედგენილი აქტივობების დეტალური გრაფიკი.

პროექტის გუნდის წევრები:

- ივეტა ჭელიშვილი - პროექტის კოორდინატორი
- ლალი პერტია - ფინანსური მენეჯერი
- მარიამ ბენდელიანი - ტრენინგის ორგანიზატორი (ქუთაისი, თბილისი)
- ლალი გამისონია - ტრენინგის ორგანიზატორი (ზუგდიდი)

ტრენერების შემადგენლობა:

- ოლეგ პანფილოვი - პროფესორი, ჟურნალისტი, ილიას უნივერსიტეტი
- ლანა ღვინჯილია - ილიას უნივერსიტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის უფროსი
- დავით დარჩიაშვილი - პროფესორი, საქართველოს პარლამენტის უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე
- მალხაზ ფიროსმანიშვილი - პროექტის ფასილიტატორი
- ეკა ფხაკაძე - მედია ექსპერტი, მედია და PR ტექნოლოგიები/ ქუთაისის აკ.წერეთლის სახ. სახელმწიფო უნივერსიტეტი
- გიორგი დვალიშვილი - ტელე-ოპერატორი
- დავით კიზირია - Innovative Systems Management
- ირაკლი ქურდიანი - Innovative Systems Management
- მერაბ ბასილაია - არასამთავრობო ორგანიზაცია

აქტივობების გრაფიკი რამოდენიმეჯერ დაზუსტდა და მისი საბოლოო ვარიანტი იხილეთ დანართის სახით მიმაგრებული ფაილი.

საინფორმაციო შეხვედრების ორგანიზება

რადგან თემა "სამოქალაქო ჟურნალისტიკა" ახალია საქართველოს მოსახლეობისათვის და ტრენინგზე აქტიური, დაინტერესებული ადამიანების მაქსიმალურად მოზიდვის მიზნით გავაკეთეთ განცხადებები ინტერნეტში და ჩავატარეთ რამოდენიმე საინფორმაციო შეხვედრა საქართველოს რაიონებში. ინფორმაცია ამ შეხვედრების თაობაზე იხილეთ ბმულზე www.civilnews.ge . შეხვედრები ჩატარდა თბილისში, გორში, ქუთაისში, ზუგდიდში, ბათუმში, თელავში, ახალციხეში. ამ შეხვედრების მონაწილეებს მიეწოდათ ინფორმაცია სამოქალაქო ჟურნალისტიკის არსის შესახებ, ისინი გაეცნენ დაგეგმილი ტრენინგების თემატიკას, კონკურსის პირობებს და სხვა მათთვის საინტერესო ინფორმაციას. ნაწილობრივ, ამ საინფორმაციო შეხვედრების დამსახურებაც არის დიდი ინტერესი ტრენინგების მიმართ არა მხოლოდ თბილისში, არამედ რეგიონებში. მონაწილეებმა გამოხატეს თავისი მოლოდინები და სურვილები, რაც ჩვენ მაქსიმალურად ვეცადეთ გაგვეთვალისწინებია პროექტის მსვლელობის დროს.

საინფორმაციო ტრენინგის პროგრამის შედგენა/ დაზუსტება

როდესაც ჩვენ შევძელით საბოლოოდ დაგვედგინა იმ ტრენინგთა და ექსპერტთა ვინაობა, ვისაც შეეძლო საუკეთესოდ წარმოედგინა სამოქალაქო ჟურნალისტიკის მიზნები და მის წინაშე არსებული ამოცანები, ჩვენ შევადგინეთ ტრენინგების თემატიკა:

- სამოქალაქო ჟურნალისტიკა საქართველოში - პრობლემები, ამოცანები, შესაძლებლობები.
- სოციალური მედიის გავლენა სამოქალაქო საზოგადოებაზე. დამოუკიდებელი განვითარების პერსპექტივები.
- ახალი მედია ინსტრუმენტები და მათი გამოყენება რეპორტაჟების გადაღების დროს.
- ვიდეო სიუჟეტების აგებულება. ინტერვიუს ხელოვნება.
- ინდივიდუალური სასწავლო ფოტო და ვიდეო სიუჟეტების გადაღა და მათი განთავსება ინტერნეტში.
- ელ-კურსის გამოყენება.
- ჟურნალისტიკა პოლიტიკის და კულტურის "ტყვეობაში".
- ჟურნალისტური ეთიკა

ტრენინგების პროგრამას გიგზავნით მიმაგრებულ ფაილად

ტრენინგების/ ექსპერტების და ყველა მონაწილესთან ხელშეკრულებების გაფორმება

აქტივობების გრაფიკის მიხედვით ყველა ტრენინგთან და პროექტის მონაწილესთან დაიდო ხელშეკრულება.

ასევე შევადგინეთ ტრენინგების მონაწილეთა სია. ტრენინგებზე დამსწრეთა რაოდენობა იყო ბევრად მეტი, ვიდრე ჩვენ შეგვეძლო მოგვეწვია, ამიტომ შევარჩიეთ 20-20 მონაწილე ყოველი ტრენინგისათვის.

ელ-კურსის შექმნა

პროექტის შედეგების მასშტაბირების - პროექტის ბენეფიციართა რიცხვის გაზრდის და შემდგომში პროექტის მდგრადობის უზრუნველყოფის მიზნით, გადაწყვიტეთ შეგვექმნა ელექტრონული კურსი, ტრენინგ-მასალა (ტექსტური და ვიდეო გაიდები), რომელიც შექმნის შესაძლებლობას შესაბამისი კომპეტენციის გადაცემა მოხდეს არა მარტო პირისპირ (F2F) მეთოდით, არამედ დისტანციურად.

<http://oc.ac.ge/course/view.php?id=57>

ელ-კურსი ინტერნეტ მომხმარებელს აძლევს საშუალებას განათავსოს ინტერნეტში, სოციალურ მედიაში, youtube-ზე სიუჟეტები და გამოიყენოს სხვადასხვა აპლიკაციები. ელ-კურსი მოიცავს შემდეგ საკითხებს:

- გადაღების ტექნიკური გაიდი
- მონტაჟის ტექნიკური გაიდები (Movie Maker, Youtube)
- ვიდეო გამოქვეყნების, აღწერის, ტიტრების დადების გაიდები (Youtube)
- ვიდეო-პორტალის გამოყენების (გამოქვეყნება, თეგირება, გაზიარება) გაიდი
- ლაივსთრინინგის გაიდი
- Galaxy Ace GT-S5830 და შესაბამისი აპლიკაციების შესახებ

ხანგრძლივ პერსპექტივაში, პროექტის მდგრადობის ერთ-ერთი მაჩვენებელია ელ-კურსის შექმნა, ეს საჭირო ინსტრუმენტია და ამ საიტზე შემსვლელთა რაოდენობით თუ ვიმსჯელებთ, კურსით სარგებლობენ არა მხოლოდ ტრენინგების მონაწილეები, არამედ სხვა ინტერნეტ მომხმარებლებიც. ვთვლი, რომ ელ-კურსის შექმნა შეიძლება ჩაითვალოს პროექტის მიღწევად და მის წარმატებად, რომელიც მოიტანს ხანგრძლივ შედეგებს.

კონკურსის გამოცხადება

ვიდეო რეპორტაჟების კონკურსი და მისი პირობები გამოცხადდა http://www.civilnews.ge/p/blog-page_14.html. კონკურსში მონაწილეობის მსურველებს ჰქონდათ შესაძლებლობა გადაეღოთ მცირე ვიდეო სიუჟეტები, განეთავსებინათ ისინი Youtube-ზე და შემდეგ გაეზიარებიათ საიტზე [civilnews.ge](http://www.civilnews.ge). კონკურსის ბოლოს ამ ვიდეო-რეპორტაჟების ინტერნეტში ნახვების რაოდენობის მიხედვით გამოვლინდა.

ტრენინგი ქუთაისში

ქუთაისში ტრენინგი ჩატარეთ 2013 წლის 16, 17, 18 ივლისს.

ტრენინგისთვის ძალიან ბევრი მსურველი დარეგისტრირდა, ჩვენ, სამწუხაროდ, იძულებული გავხდით ეს სია "დაგვეფილტრა" და შევეცადეთ გამოგვეყო მონაწილეები, რომლებიც წარმოადგენდნენ იმერეთის სხვადასხვა რაიონებს. რამოდენიმე მონაწილე იყო ქუთაისიდან, რადგან ქუთაისი გახდა საპარლამენტო ქალაქი და ქუთაისიდან დროულად მიღებული ინფორმაცია უშუალოდ თვითმხილველებისაგან ძალიან მნიშვნელოვანია.

ტრენინგი ჩატარდა სასტუმრო "გორას" საკონფერენციო დარბაზში, ის იყო ძალიან კარგად ორგანიზებული, იყო გათვალისწინებული ყველა ის დეტალი, რომელიც ხელს უწყობდა ნაყოფიერ მუშაობას. მონაწილეები კმაყოფილებით აღნიშნეს, რომ ტრენინგის 3 დღე იყო ძალიან საინტერესო მათთვის, მათ მიიღეს ისეთი ცოდნა, რომელიც გამოადგებათ მათ მომავალში. პროექტის გუნდისთვის სასიამოვნო იყო და ამ ტრენინგის/მასტერ-კლასის და ზოგადად პროექტის წარმატებად შეიძლება ჩაითვალოს, რომ ჩვენი პროექტის რამოდენიმე ბენეფიციარი გიორგი ცაგარეიშვილი, გიორგი რუხაძე, გიორგი ბიჩინაშვილი, მართა ქურასბედიანი, ტრენინგის დასრულების შემდეგ, მუშაობა დაიწყეს ინტერნეტ სააგენტოებში და ისინი ფაქტიურად სამოქალაქო ჟურნალისტის ფუნქციას ასრულებენ. მათ აღნიშნეს, რომ ტრენინგზე მიღებულ ცოდნასთან და უნარ-ჩვევებთან ერთად, ისინი ელექტრონულ კურსსაც ხშირად იყენებენ.

დღე 1.

ტრენინგი რეგისტრაციით იწყება.

პირველი სესია იხსნება მრგვალი მაგიდით, თემაზე "სამოქალაქო ჟურნალისტიკა საქართველოში- პრობლემები, ამოცანები, შესაძლებლობები". ტრენინგის მოდერატორი არის ოლეგ პანფილოვი/ ილიას

სახელმწიფო უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის პროფესორი. ფასილიტატორი მალხაზ ფიროსმანიშვილი. მრგვალი მაგიდის დისკუსიაში მონაწილეობენ ლანა ღვინჯილია, დავით კიზირია, ირაკლი ქურდიანი, დავით დარჩიაშვილი. მრგვალი მაგიდის მონაწილეებს შორის წარიმერთა დისკუსია და შემდეგ დისკუსიაში ჩაერთო ყველა მონაწილე. დისკუსიის დროს მონაწილეთა მიერ გამოთქმული სურვილები, მოლოდინები ეხმარება ტრენერებს მომავალი სესიების დასაგეგმად.

მეორე სესიას წარუძღვება ლანა ღვინჯილია / ილიას უნივერსიტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობების დეპარტამენტის უფროსი. მისი ლექცია თემაზე "სოციალური მედიის გავლენა სამოქალაქო საზოგადოებაზე. დამოუკიდებელი განვითარების შესაძლებლობები" დიდი ინტერესი გამოიწვია, მონაწილეები აქტიურად არიან ჩართული. /ფასილიტატორი: მალხაზ ფიროსმანიშვილი/

მესამე და მეოთხე პანელი ეთმობა მასტერ-კლასს. იწყება თეორიულ მასალასთან ერთად პრაქტიკული მეცადინეობები. დათა კიზირია და ირაკლი ქურდიანი ატარებენ მასტერ-კლასს თემაზე "ახალი მედია ინსტრუმენტები და მათი გამოყენება რეპორტაჟების გადაღების დროს". ამ მასტერ-კლასის დროს მონაწილეებმა ისწავლეს, თუ რა შესაძლებლობებს სთავაზობს მათ ახალი მედია ინსტრუმენტები, როგორ გადაიღონ სიუჟეტები და მოახდინონ მონტაჟი, ტიტრების დადება, აუდიო ფაილის დადება და სხვა. ამაში მათ ასევე ეხმარება გაიდები ელ-კურსიდან. მასტერ-კლასზე არის კარგად ახსნილი და პრაქტიკულად ნაჩვენები ეს შესაძლებლობებიც.



დათა კიზირიას მასტერ-კლასი



ირაკლი ქურდიანის მასტერ-კლასი

დღე 2.

მეორე დღეს, მეხუთე პანელის დროს ტრენერი ეკა ფხაკაძე / ჟურნალისტი, მედია ექსპერტი, მედია და PR ტექნოლოგი, აკ.წერეთლის სახ. სახელმწიფო უნივერსიტეტი/ და გიორგი დვალიშვილი /ოპერატორი , საუბრობენ თემაზე ”ვიდეო სიუჟეტების აგებულება, ინტერვიუს ტექნოლოგია. ეკას და გიორგის აქვთ დიდი გამოცდილება ამ საკითხებზე და ისინი თეორიულ მასალასთან ერთად პრაქტიკულ მასტერ-კლასსაც ატარებენ. ტრენინგის ეს ნაწილი ძალიან დიდ ინტერესს იწვევს, ტრენერები აჩვენებენ მონაწილეებს წარმატებულ სიუჟეტებს, განიხილავენ მათ და შემდეგ სთავაზობენ მონაწილეებს იქვე აიღონ მოკლე ვიდეო ინტერვიუ ერთმანეთისაგან, გიორგი დვალიშვილი იწერს ამ ინტერვიუს პროფესიონალური ვიდეოკამერით და შემდეგ ხდება ამ რეპორტაჟის განხილვა. ეს სახალისო და ძალიან საინტერესო აქტივობაა, რადგან თვალნათლივ აჩვენებს მონაწილეებს ხარვეზებს.

შესვენების შემდეგ იწყება მეექვსე და მეშვიდე სესიები, რომლებსაც დათა კიზირია და ირაკლი ქურდიანი ატარებენ. თემა: ”ინდივიდუალური სასწავლო ფოტო და ვიდეო სიუჟეტების გადაღება და მათი განთავსება ინტერნეტში. ელ-კურსის გამოყენება. ამ 2 დღის განმავლობაში მიღებული ცოდნის, უნარ-ჩვევების მიღების შემდეგ ტრენერები აძლევენ მონაწილეებს დავალებას: გადაიღონ სიუჟეტები და ტრენინგის მესამე დღისთვის მოამზადონ მათი პრეზენტაცია.

დღე 3

მესამე დღე იწყება მერვე სესიით და ხდება ”საშინაო დავალების”, სიუჟეტების პრეზენტაცია. ამ პრეზენტაციას ფასილიტაციას უწევს მალხაზ ფიროსმანიშვილი. მონაწილეები წარმოადგენენ თავიანთ გადაღებულ სიუჟეტებს.

მეცხრე სესიაზე დავით დარჩიაშვილი/ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, პარლამენტის წევრი/ წარმოადგენს პრეზენტაციას თემაზე ”ჟურნალისტიკა პოლიტიკის და კულტურის ”ტყვეობაში” “. ტრენერი საუბრობს ინფორმაციის მოპოვების და აღქმის ძირითად თეორიებზე, ჟურნალისტიკის და სამოქალაქო ჟურნალისტიკის წინაშე მდგარ გამოწვევებზე, ჟურნალისტური ეთიკის საუბრებზე და წარმოადგენს რამოდენიმე თვალნათლივ მაგალითს. საუბარი გრძელდება საუბრით თუ რა გავლენა შეიძლება იქონიოს პოლიტიკამ და კულტურამ სამოქალაქო ჟურნალისტიკაზე, ამ გავლენის დადებითი და უარყოფითი მხარეები.

მეათე სესიის დროს იწყება ჯგუფური მუშაობა: ინდივიდუალური ფოტო და ვიდეო სიუჟეტების განხილვა და საუკეთესო რეპორტაჟების გამოქვეყნება საიტზე და ფბ-გვერდზე.

განხილვაში მონაწილეობენ ოლეგ პანფილოვი, ლანა ღვინჯილია, დათა კიზირია, ირაკლი ქურდიანი. მონაწილეები თავად აფასებენ და განიხილავენ სიუჟეტების ხარვეზებს და სწორ მიგნებებს. ტრენერები ეხმარებიან მათ ყურადღება მიაქციონ იმ საკითხებზე, რომლებიც იყო განხილული ტრენინგის დროს და როგორ შეიძლება შექმნილი ცოდნის და უნარ-ჩვევის უფრო ეფექტურად გამოყენება.

ტრენინგის ბოლოს მონაწილეები გამოთქამენ თავის აზრს ტრენინგის შესახებ, საუბრობენ ტრენინგის დროს მიღებულ გამოცდილებაზე. რამოდენიმე მონაწილის ”შეფასება”:

სალომე სახვაძე: ამ სამმა დღემ ძალიან სწრაფად გაიარა, ყველა ტრენერის ნაწილი იყო განსხვავებული და ავსებდა ერთმანეთს. თეორიული და პრაქტიკული აქტივობები ცვლიდნენ ერთმანეთს და ტრენინგი ”ცოცხლად” მიდის. ბევრი საინტერესო რამ გავიგე და ვისწავლე, ჩემი მოლოდინები გაცილებით ნაკლები იყო დასაწყისში”.

ირაკლი ჩხაპელია: ყველა თემა, რომელიც ამ დღეების მანძილზე განვიხილეთ ჩემთვის იყო საინტერესო, მე ვცდილობდი ეს ინფორმაცია ინტერნეტიდან მომეძიებია, აქ კი მივიღე სტრუქტურირებული ცოდნა, ყველა ჩემს კითხვას გაეცა პასუხი. ელ-კურსს გამოვიყენებ მომავალში.”

ოთო კახიძე: თეორიაც საინტერესო იყო და პრაქტიკაც. ჩემთვის ყველაზე დასამახსოვრებელი იყო რეპორტაჟები, რომლებიც აქვე ჩავწერეთ და მაშინ ყველაზე კარგად დავინახეთ ყველამ რა არ იყო სწორი. უკვე ასე აღარ გავაკეთებ და მომავალში სულ გამახსენდება ის რაც აქ მოვისმინე. ალბათ მივიღებ მონაწილეობას კონკურსში, თემაც უკვე მოვიფიქრე.

ლალი გამისონია: ბევრ ტრენინგზე დავსწრებივარ, მეც ჩამიტარებია და ყოველთვის მეგონა რომ მაქსიმუმ 3-4 ტრენერი უნდა ატარებდეს ტრენინგს. ეხლა ასე აღარ ვფიქრობ, ყველა ტრენერის პრეზენტაციები იყო განსხვავებული, მაგრამ მათ საბოლოოდ ”აკინძეს” ეს თემა და დაგვანახე ის სხვადასხვა მხრიდან. ტრენინგი დინამიურად მიდიოდა და მოკლე დროში ბევრი რამ ვისწავლეთ.

ტრენინგი დავასრულეთ სერტიფიკატების გადაცემით და ჯგუფური ფოტოს გადაღებით.

ტრენინგის ბოლოს გვეწვია ქუთაისში ცნობილი ადამიანი, მერაბ ქაჯაია/პიკასო, ”პიკასოს ბიჭის” ავტორი და პიკასოს კლუბის დამფუძნებელი. მან გადაიღო ფოტოები და მონაწილეებს მიაწოდა მაგალითები თავისი გამოცდილებიდან. მონაწილეები მიიწვიეს პიკასოს კლუბში და მათ შეძლეს იქაც საინტერესო ფოტო კოლაჟს გადაღება და შემდეგ განათავსეს ინტერნეტში.

ტრენინგი თბილისში ჩატარდა 22, 23, 24 ივლისს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში.

ტრენინგის მონაწილეების მსურველებიდან, რომლებიც ელექტრონულად დარეგისტრირდნენ ავარჩიეთ 20 მონაწილე, ვეცადეთ მოგვეწვია მონაწილეები არა მხოლოდ თბილისიდან, არამედ საქართველოს რეგიონებიდან

ტრენინგი თბილისში წარიმართა ქუთაისის ტრენინგის მსგავსად, იყო მხოლოდ ერთი ცვლილება. მეორე დღეს მოვიწვიეთ თამარ კინწურაშვილი/ ტელეკომპანია რუსთავი2 ის ყოფილი დირექტორი, რომელმაც ძალიან საინტერესოდ წარმოუდგინა მსმენელებს თემა "ჟურნალისტური ეთიკა". მან თავის პრეზენტაციაში წარმოადგინა რამოდენიმე სიუჟეტი, რომელიც იყო გასული "რუსთავი2"-ის ეთერში და იყო მაგალითი ჟურნალისტური ეთიკის დარღვევის და ტრენინგმა ახსნა თუ "ჟურნალისტური ქარტიის" რა მუხლებს ეწინააღმდეგებოდა ამ რგოლებში გასული ინფორმაცია. ტრენინგმა გააცნო მონაწილეებს "ჟურნალისტური ეთიკის" განმსაზღვრელი კანონები, რომლებიც მოქმედებენ საქართველოში და მსოფლიოში. სესიამ დიდი ინტერესი გამოიწვია და ქალბატონმა თამარმა უპასუხა მონაწილეების კითხვებს.



თამარ კინწურაშვილის პრეზენტაცია

ტრენინგი ზუგდიდში

პროექტის მიმდინარეობის დროს, ქუთაისის და თბილისის ტრენინგების ჩატარების და ელ-კურსის შექმნის შემდეგ, შევძელით დაგვეზოგა გარკვეული თანხა და პროგრამის ხელმძღვანელობის მხარდაჭერით მოგვეცა შესაძლებლობა ჩავეტარებინა კიდევ ერთი ტრენინგი იმ მონაწილეებისათვის, რომლებმაც ვერ მოახერხეს პროექტის პირველ ეტაპზე დასწრება. ეს ტრენინგი ჩავატარეთ ზუგდიდში რადგან ყველაზე მეტი მსურველი იყო ამ ქალაქიდან. 2 ოქტომბერს მივმართეთ ცვლილების მოთხოვნით და 12,13 ოქტომბერს უკვე ჩავატარეთ ეს ტრენინგი. ტრენინგი წარიმართა თბილისის და ქუთაისის

ტრენინგების მსგავსად, იგივე პროგრამით. ზუგდიდში ლექცია თემაზე "ჟურნალისტური ეთიკა" წაიკითხა ტრენერმა მერაბ ბასილაიამ. მან დაიწყო თავისი გამოსვლა დისკუსიით: რა სხვაობაა ჟურნალისტსა და სამოქალაქო ჟურნალისტს შორის. მონაწილეებმა ბევრი იმსჯელეს ამ საკითხზე და შემდეგ ტრენერმა ისაუბრა იმ მორალურ, ეთიკურ და სამართლებრივ ნორმებზე, რომლებიც მოქმედებს საქართველოში და მსოფლიოში.

კონკურსის გამარჯვებულების გამოვლენა და დაჯილდოება

პროექტის ფარგლებში შევიძინეთ 30 მობილური ტელეფონი-სმარტფონი Galaxy Ace GT-S5830, რომლებიც დაწესდა პრიზად კონკურსში გამარჯვებულთათვის.

გამარჯვებულები. კონკურსის შედეგების შეჯამება მოხდა რამოდენიმე ეტაპად: პირველად ნახვების რეიტინგის მიხედვით გამოვავლინეთ 15 გამარჯვებული და ილიას უნივერსიტეტში ჩავატარეთ დაჯილდოება. მე2 ეტაპი დასრულდა 31 დეკემბერს, როდესაც გამოვლინდა კიდევ 10 გამარჯვებული და დარჩენილი 5 ტელეფონი განაწილდება შემდეგი წესით: ყოველ თვეში იქნება გამოცხადებული თვის თემა, მონაწილეებმა უნდა გადაიღონ ფოტო ან ვიდეო სიუჟეტი მოცემულ თემაზე და ყოველი თვის ბოლოს გამოვლინდება ერთი გამარჯვებული. ეს უზრუნველყოფს პროექტის მდგრადობას.



სმარტფონები Galaxy Ace GT-S5830

პროექტის გუნდი და პროექტის ყველა მონაწილე მადლიერებას გამოვთქვამთ ყველა იმ ორგანიზაციისადმი, ვინც მოგვცა საშუალება განგვეხორციელებია ეს პროექტი. განსაკუთრებული მადლობა მშვიდობის, დემოკრატიის და განვითარების კავკასიური ინსტიტუტის ხელმძღვანელობას და ყველა თანამშრომელს, რომლებმაც გულისხმიერება გამოიჩინეს ჩვენი პროექტის წარმატებით განხორციელებისათვის.

კონტაქტი:

ივეტა ჭელიშვილი - "არასამათავრობო რესურს ცენტრი" / დირექტორი

ტელეფონი: +995 598 515757

ელ.ფოსტა: iveta.chelishvili@gmail.com